სანოტარო აქტი

ორიათასთორმეტი წლის ოთხ ივლისს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 110, მომმართა **შპს "ეგა -2007"-ის (ს/კ 202359697) დირექტორმა ელდარ მამედოვმა** (დაბ. 18.03.1949წ. მცხ. თბილისი, ქვიშხეთის ქ. №8, პირადი №01023003585). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე აქტი და წავუკითხე მხარეს. მხარემ წაიკითხა აქტი, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

გადახდილია 13.80 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 10.00 ლარი, დღგ 1.80 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს "ეგა -2007" (ს/კ 202359697), შემდგომში „მიმნდობი", წარმოდგენილი დირექტორის **ელდარ მამედოვის სახით** უფლებას აძლევს და ენდობა **ვახტანგ ბლიაძეს** (პირადი №01023000046) შემდგომში „მინდობილი პირი", შეუზღუდავად მართოს „მიმნდობის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: **თბილისი, იუმაშევის №10,** შემდგომში „მინდობილი ქონება".

"მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს "მიმნდობი"-ს წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, სსიპ. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ნებისმიერ სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, აწარმოოს საამშენებლო სამუშაოები, წარადგინოს სამშენებლო პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, „მინდობილი პირი" უფლებამოსილია შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს პროექტი, ნახაზები და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი "მიმნდობი"-ს მაგივრად საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს განცხადება, საჩივარი, დაარეგისტრიროს „მიმნდობი"-ს საკუთრების უფლება, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს "მიმნდობი"-ს სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

"მინდობილი პირი" უფლებამოსილია "მიმნდობი"-ს სახელითა და ხარჯით შეასრულოს აღნიშნული დავალების საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებანი: გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახდელები.

"მინდობილი პირი" ყველა მოქმედებას ასრულებს "მიმნდობი"-ს ხარჯით.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძის, სანოტარო არქივში.

ელდარ მამედოვი _____

ნოტარიუსი _____ ეკატერინე ჯელაძე

საქართველო ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე GEORGIA NOTARY EKATERINE JELADZE 024004844